პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 17 (2994) ● სამშაბათი, 25 იანვარი, 1966 წ. ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: თბილისის „დინამოს“ სტადიონის პროექტორებით განათებულმა მინდორმა გუშინ მასპინძლობა გაუწია აქ სავარჯიშოდ მოსულ გლაზგოელ ფეხბურთელებს...

ფოტო გ. კიკვაძის და ბ. დადვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ტულიპი მასპინძელთათვის გაიფურჩქნა

დევენტერი (ჰოლანდია), **24 იანვარი.** ევროპის მოციგურე ვაჟთა მე-60 საიუბილეო ჩემპიონატის ემბლემად გაშლილი ტულიპი იყო. საყოველთაოდ ცნობილია აქაურ მკვიდრთა უდიდესი სიყვარული საერთოდ ყვავილებისადმი და, კერძოდ, მსოფლიოში სახელგანთქმული ჰოლანდიური ტულიპისადმი. ქვეყნის ექსპორტში ამ ყვავილს საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს.

და როცა ჩემპიონატი დამთავრდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტულიპი მასპინძელთათვის გაიფურჩქნა: ჰოლანდიელი მოციგურეები შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ.

ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ ორი დისტანციის ჯამში დაწინაურდნენ: 1. ა. სხენკი (ჰოლანდია) — 89,500 ქულა; 2. ვ. კაპლანი (სსრ კავშირი) — 89,540; 3. კ. ვერკერკი (ჰოლანდია) — 89,580; 4. ე. მატუსევიჩი (სსრ კავშირი) — 90,170;

გუშინ, ტურნირის დასკვნითს დღეს, გაიმართა რბოლები 1500 და 10.000 მეტრზე. შეჯიბრება თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. 1500 მეტრზე კენჭისყრამ მეხუთე წყვილში ერთმანეთს შეახვედრა ლიდერები — სხენკი და კაპლანი. ამ მეხუთე გარბენმა ხალხით გაჭედილი ტრიბუნების შეუნელებელ აკომპანემენტში ჩაიარა. ჰოლანდიელები თავდავიწყებით ამხნევებდნენ თანამემამულეს და სხენკმაც არ გააწბილა ისინი: მან დაამყარა ჩემპიონატების ახალი რეკორდი — 2.07,2. სხენკს გადაეცა ოქროს მცირე მედალი.

ვერცხლის მცირე მედალი დაიმსახურა კაპლანმა — 2.08,6, ხოლო ბრინჯაოსი — ვერკერკმა — 2.09,3.

ახლა ყველაფერი უნდა გადაწყვიტა 10.000 მეტრზე რბენას.

ეს დისტანცია მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ნილსონმა (შვეცია) — 15.57,2 (მსოფლიოში საუკეთესო შედეგი წლეულს). II ადგილზეა ვერკერკი — 16.01,0. სხენკმა დაიკავა IV ადგილი (16.02,8), ხოლო კაპლანმა — VIII (16.17,0).

და აი, გაკეთდა მრავალჯიდის ჯამი. ევროპის ჩემპიონი გახდა 21 წლის არდ სხენკი (180,040 ქულა, კონტინენტის ჩემპიონატების რეკორდი), რომელსაც დაფნის გვირგვინთან და ოქროს დიდ მედალთან ერთად გადაეცა წითელი ტულიპების დიდი თაიგული.

II ადგილზეა კ. ვერკერკი (180,730), ხოლო მესამეზე — ვ. კაპლანი (181,257).

სურათზე: ა. სხენკი (ჩვენს პრესაში მას დღემდე შეცდომით უწოდებდნენ შენკს).

„სელტიკი“ თბილისში

სტადიონთან გაცნობა

საუბარი აეროდრომზე

„ლელო“ ინტერვიუ

თბილისში ირლანდიური ავიაკომპანიის „კარაველით“ ჩამოფრინდა გლაზგოს „სელტიკი“, რომელიც ხვალ „დინამოს“ სტადიონზე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე მოთხოვდფინალურ მატჩში შეხვდება გათამაშების დებიუტანტს — კიევის „დინამოს“.

შოტლანდიელ ფეხბურთელებთან ერთად ჩამოვიდნენ გლაზგოელი გულშემატკივრებიც — სულ 24 კაცი. ჩვენი კორესპონდენტი ა. რონდელი აეროდრომზე დახვდა სტუმრებს და სთხოვა რამდენიმე კითხვაზე გაეცათ პასუხი.

ვაქვეყნებთ საუბრის შინაარსს:

● **რას იტყვით პირველი მატჩის შესახებ?**

გლაზგოელი ადვოკატი ბილტრემი (გულშემატკივარი):

— მატჩი დაძაბული იყო. ანგარიში კიდევ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. კიეველთაგან მომეწონა ბიბი.

● **გავა თუ არა „სელტიკი“ ნახევარფინალში?**

— დარწმუნებული ვარ — გავა. თუმცა მატჩი ადვილი როდი იქნება. შეიძლება წავაგოთ კიდეც, მაგრამ ბურთების შეფარდებით მაინც გავიმარჯვებთ.

შემდეგ კორესპონდენტმა სტუმრებში ყველაზე მაღალი ადამიანი შენიშნა და ჰკითხა:

● **თქვენ ალბათ პიუზი ბრძანდებით?**

ფეხბურთელი გაოცდა:

— საიდან მიცნობთ, მე ხომ თბილისში პირველად ვარ?

— გაზეთებში წერდნენ, რომ „სელტიკში“ თამაშობს დედამიწაზე ყველაზე უფრო მაღალი მარცხენა გარემარბი, რომელიც ლამის ორ მეტრს აღწევსო.

20 წლის ჯონ პიუზი სიამოვნებით იბადრება.

● **რას ფიქრობთ მომავალ მატჩზე?**

— მგზავრობამ ისე მომქანცა, რომ ბევრს ვერაფერს გეტყვით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გავალთ ნახევარფინალში, თუმცა მატჩი ჩვენთვის იოლი არ იქნება. პირველ შეხვედრაში კიეველთაგან მომეწონა ბიბა.

სტუმართა ჯგუფიდან განცალკევებით იდგა მეტისმეტად სერიოზული რ. მერდოკი, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი ფოტოსურათებიდან იცნობდა.

● **გაბრაზებული ბრძანდებით თუ დაღლილი, ბ-ნო მერდოკ? თუ აქედანვე გსურთ აგრესიულად განწყოთ და თბილისშიც 2 გოლი გაიტანოთ?**

ფეხბურთელს გამომეტყველება მაინც არ ეცვლება. იმავე მოღუშული სახით მცირე ხანს ფიქრობს და მერე ამბობს:

— მეტად გამიჭირდება გლაზგოური „დუბლის“ გამეორება, მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა მომეცემა, სიამოვნებით გამოვიყენებ კიდეც.

● **როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე კიეველთა თამაშმა?**

— „დინამო“, ეტყობა, ძლიერი გუნდია, მაგრამ ამჟამად ცუდ ფორმაშია. გლაზგოში მომეწონა ბიბას, სოსნიხინისა და მედვიდის თამაში. ძალიან არ მომეწონა მეკარე — ბანიკოვი. დარწმუნებული ვარ, რომ მატჩი ძალიან მძიმე იქნება ჩვენთვის. ვეცდებით პირველ ნახევარში გოლი არ გავუშვათ, ჩვენი ფორვარდები კი წინა ხაზზე იბრძოლებენ.

დასასრულს კორესპონდენტი მივიდა გლაზგოელ გულშემატკივართა მოზრდილ ჯგუფთან და ცალ-ცალკე აპირებდა მის „წევრთა“ „დაკითხვას“. შოტლანდიელებმა მოითათბირეს, შემდეგ ერთმა მათგანმა ღიმილით განაცხადა:

— დაწერეთ თქვენს გაზეთში, რომ ყველანი დარწმუნებული ვართ „სელტიკის“ გამარჯვებაში. „სელტიკი“ ნახევარფინალში გავა, თუმცა, შესაძლოა, ამას მიაღწიოს ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით.

სტუმართა „დელეგატის“ ამ სიტყვებს მთელი ჯგუფის მხიარული შეძახილები და სიცილი მოჰყვა.

— დიდი ბოდიში, მაგრამ ძალიან გვეჩქარება. ჩვენი ბიჭები დღესვე აპირებენ ვარჯიშს თქვენს სტადიონზე...

ავტობუსი ჩამოდგა და სტუმრები მისკენ გაეშურნენ. გულშემატკივარმა კიდევ ერთხელ მოიხედა, ხელი დაიქნია და თავაზიანი ღიმილით შესძახა:

— შევხვდებით სტადიონზე. იქ ყველაფერი დეტალურად გაირკვევა!..

* * *

დღეს თბილისში ჩამოფრინდება იტალიელ არბიტრთა ბრიგადა, რომელიც მოემსახურება ხვალინდელ მატჩს.

...ლონდონ...

სურათზე: „სელტიკის“ კლუბის წევრები თბილისის აეროდრომზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

ცსკა-ს უნდა აჯობოს „ზადარსა“ და აეკ-ს

როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთელ ვაჟთა შორის წლეულს ახალი სისტემით ტარდება. შექმნილია ორი ნახევარფინალური ჯგუფი: ერთში შევიდნენ — ცსკა, სოფიის „ჩერვენო ზნამია“, იუგოსლავიის „ზადარი“ და ათენის აეკ-ი; მეორეში — „რეალ-მადრიდი“, პრაღის „სლავია“, მილანის „სიმენტალი“ და ბელგიის „რესინგი“.

ჯგუფებში ასპარეზობა წრიული სისტემით მიმდინარეობს. გუნდს, რომელიც მეტოქესთან 2 შეხვედრის ჯამში უკეთეს შედეგს მიაღწევს, ერიცხება 2 ქულა, ხოლო მის მეტოქეს — 1 (ამრიგად, სადღეისოდ ცსკა-ს მხოლოდ 1 ქულა აქვს, ხოლო მის მეტოქეებს — „ჩერვენო ზნამიას“ და აეკ-ს — 2-2. 1 ქულა აქვს აგრეთვე „ზადარსს“).

ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები გაითამაშებენ ფინალურ ტურნირს.

მადრიდში ამ დღეებში გაიმართა ადგილობრივი „რეალისა“ და პრაღის „სლავიის“ განმეორებითი შეხვედრა. ამ მოწინააღმდეგეთა პირველი თამაში, როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა პრაღელთა გამარჯვებით — 83:71. მადრიდელებმა უკეთესი სხვაობით (80:63) შეძლეს საპასუხო მატჩის მოგება და მოიპოვეს 2 ქულა. გამარჯვებულთა შორის საუკეთესო სნაიპერებად მოგვევლინენ ემილიანო და ამერიკელი ლაიკი — 27-27 ქულა.

21 იანვარს მილანის „პალაცეტო დელო სპორტში“ გაიმართა ადგილობრივი „სიმენტალისა“ და ბელგიის „რესინგის“ განმეორებითი შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 95:66. „სიმენტალს“ ყველაზე ბევრი ქულა მოუტანეს აქ მოთამაშე ამერიკელებმა — ბრედლიმ (33) და ტორენმა (25).

ცსკა-ს საქმეები მაინც-დამაინც კარგად ვერ არის: ფინალში გასასვლელად მან უეჭველად უნდა გაიმარჯვოს „ზადართან“ და აეკ-თან.

ტყვიით სროლა

საქართველოს რეკორდები

1966 წლის 26 იანვარიდან

ვარჯიში	დისტანცია	პირადი: რეკორდსმენი	შედეგი	წელი	გუნდური: გუნდი	შედეგი	წელი
ვაჟები							
არმიული შაშხანა							
ხელიდან და საყრდენით წოლილა სწრაფსროლა. 10 გასროლა (5+5)	300 მ	ვ. ვასილენკო (თბილისი, ასკ)	94	1960			
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×20) 60 გასროლა	300 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, ასკ)	547	1960	საქართველოს ნაკრები	2.107	1960
დგომილა 20 გასროლა	300 მ	ა. სტროევი (სოხუმი, „დინამო")	181	1964			
ჩოქილა 20 გასროლა	300 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, „დინ.")	189	1963			
წოლილა 20 გასროლა	300 მ	ვ. ვასილენკო (თბილისი, ასკ)	191	1958			
გადარბენით წოლილა სროლა (დუელური)	300 მ				საქართველოს ნაკრები	9,2 წამი	1965
საბრძოლო ნებისმიერი შაშხანა							
„გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლა	100 მ	ე. მიტინიანი (თბილისი, ასკ)	226	1958	საქართველოს ნაკრები	863	1965
„გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლა	100 მ	გ. ბოსტოღანაშვილი (თბილისი, ასკ)	223	1960	საქართველოს ნაკრები	851	1965
„გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასროლა	100 მ	თ. ლეკიშვილი (თბილისი, დოსაფი)	439	1965			
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×20) 60 გასროლა	300 მ	ა. სტროევი (სოხუმი, „დინამო")	574	1964			
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×40) 120 გასროლა	300 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, „დინ.")	1.154	1964	საქართველოს ნაკრები	4.500	1963
დგომილა 40 გასროლა	300 მ	ა. სტროევი (სოხუმი, „დინამო")	367	1959			
ჩოქილა 40 გასროლა	300 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, „დინ.")	393	1964			
წოლილა 40 გასროლა	300 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, ასკ)	396	1960			
მცირეკალიბრიანი ნებისმიერი შაშხანა							
წოლილა 60 (30+30) გასროლა	50 და 100 მ	თ. მეგრელიშვილი (თბილისი, „დინ.")	590	1964	„დინამოს" ნაკრები	2.289	1964
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×20) 60 გასროლა	50 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, ასკ)	573	1960	„დინამოს" ნაკრები	2.223	1964
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×40) 120 გასროლა	50 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, „დინ.")	1.154	1964	„დინამოს" ნაკრები	4.527	1964
დგომილა 40 გასროლა	50 მ	რ. ანანიკიანი (თბილისი, „დინამო")	374	1962	„დინამოს" ნაკრები	1.427	1964
ჩოქილა 40 გასროლა	50 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, „დინ.")	394	1964	„დინამოს" ნაკრები	1.525	1964
წოლილა 40 გასროლა	50 მ	რ. ანანიკიანი (თბილისი, „დინამო")	396	1960	„დინამოს" ნაკრები	1.547	1964
წოლილა 60 გასროლა	50 მ	შ. ქველიაშვილი (თბილისი, „დინ.")	597	1964	საქართველოს ნაკრები	2.357	1961
„გაქცეულ შველზე" სროლა (40+40)	50 მ	გ. თავდიდიშვილი (თბილისი, „დინ.")	305	1965		1.220*	
მცირეკალიბრიანი პისტოლეტი							
მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლა	50 მ	ვ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ)	569	1963	საქართველოს ნაკრები	2.197	1965
სილუეტებზე 60 (30+30) გასროლა	25 მ	კ. ფოტიევი (თბილისი, „დინამო")	590	1960	„დინამოს" ნაკრები	2.289	1965
მსხვილკალიბრიანი პისტოლეტ-რევოლვერი							
მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე 60 (30+30) გასროლა	25 მ	ვ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ)	592	1964	საქართველოს ნაკრები	2.319	1964
ქალები							
არმიული შაშხანა							
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×20) 60 გასროლა	300 მ	ლ. ჟურული (თბილისი, ასკ)	584	1964			
მცირეკალიბრიანი ნებისმიერი შაშხანა							
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×20) 60 გასროლა	50 მ	ლ. ჟურული (თბილისი, ასკ)	570	1963	საქართველოს ნაკრები	1.671	1965
დგომილა 20 გასროლა	50 მ	ლ. ჟურული (თბილისი, ასკ)	187	1963			
ჩოქილა 20 გასროლა	50 მ	ლ. ჟურული (თბილისი, ასკ)	194	1960			
წოლილა 20 გასროლა	50 მ	ლ. ჟურული (თბილისი, ასკ)	198	1960			
წოლილა 60 გასროლა	50 მ	ლ. ჟურული (თბილისი, ასკ)	589	1963	„დინამოს" ნაკრები	1.765	1965
წოლილა 60 (30+30) გასროლა	50 და 100 მ	ლ. ჟურული (თბილისი, ასკ)	582	1962		1.725*	
მცირეკალიბრიანი პისტოლეტი							
მრგვალ სამიზნეებზე 30 გასროლა	50 მ	ტ. კოგბოსნიძე (ქუთაისი, გან. განყ.)	275	1964	საქართველოს ნაკრები	778	1961
მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე 60 (30+30) გასროლა	25 მ	რ. პროზოროვა (თბილისი, დოსაფი)	575	1963		1.685*	
სილუეტებზე 60 (30+30) გასროლა	25 მ	ო. ნოგოსელცოვა (თბილისი, დოსაფი)	574	1965		1.680*	
მსხვილკალიბრიანი პისტოლეტ-რევოლვერი							
მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე 60 (30+30) გასროლა	25 მ	ვ. ტიმოფეევა (თბილისი, ასკ)	558	1959			
ჭაღარა ოფიცრები							
მცირეკალიბრიანი შაშხანა							
3 მდგომარეობიდან სტანდარტზე (3×20) 60 გასროლა	50 მ	მ. მიქიაშვილი (ქუთაისი, „დინამო")	570	1965	განათლების სამ. ნაკრები	1.646	1965
წოლილა 60 (30+30) გასროლა	50 და 100 მ	ა. ჯაბიშვილი (თბილისი, დოსაფი)	582	1958		1.725*	
წოლილა 60 (30+30) გასროლა	50 მ	ს. ფარულავა (ქუთაისი, გან. განყ.)	594	1965	განათლების სამ. ნაკრები	1.750	1965
მცირეკალიბრიანი პისტოლეტი							
სილუეტებზე 30 გასროლა	25 მ	მ. ბაძრაძე (თბილისი, „დინამო")	285	1957			
მრგვალ სამიზნეებზე 30 გასროლა	50 მ	ტ. კოგბოსნიძე (ქუთაისი, გან. განყ.)	275	1964	განათლების სამ. ნაკრები	785	1964
მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე სროლა 60 (30+30) გასროლა	25 მ	ვ. ჟამურაშვილი (თბილისი, გან. განყ.)	575	1965	განათლების სამ. ნაკრები	1.703	1965

*) საწყისი ნორმატივი.

ეროვნული ფერი რომ იყვნენ...

ენთუზიასტებს ცეცხლს ნუ გავუნელებთ

მინდორზე ფეხბურთელები დარბიან. მაშინვე მიხვდებით, რომ ისინი უმაღლეს ლიგას არ ეკუთვნიან. „სტადიონიც" არ შეესატყვისება უმაღლესი ლიგის გუნდების თამაშს, თუმცა დაძაბული ორთაბრძოლიდანაც ჩანს, რომ მატჩი უბრალო კი არა, სატურნიროა. ყველაფერი წესების დაცვით მიდის, ოღონდ, ესაა — კარს ძელების ნაცვლად... ქვები აღნიშნავს; ისე როგორც ბავშვობისას ვთამაშობდით ფეხბურთს. მაგრამ მოთამაშეები დიდები არიან. უბრალოდ, სპორტის სასახლის სიახლოვეს, იქ, სადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებია განლაგებული, ტრიალ მინდორზე გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის პირველობა მიმდინარეობს; საკმაოდ დიდი პირველობა: მასში ათზე მეტი გუნდი მონაწილეობს სხვადასხვა ლაბორატორიიდან.

ეს უბრალო ფაქტიც თვალსაჩინოდ მეტყველებს სპორტისადმი დიდ სიყვარულზე და მონდომებაზე, რაც აღნიშნული ინსტიტუტის ახალგაზრდობაშია. ახალგაზრდობა კი უმრავლესობას შეადგენს ამ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების 200-მდე თანამშრომლიდან.

მაგრამ ზემოაღნიშნული ფაქტი სხვა რამეზეც მეტყველებს: ამ დიდ გატაცებას შესატყვისი სარბიელი არა აქვს; ახალგაზრდების მონდომებას ბაზების უქონლობა ახშობს. იქ, სადაც შესაძლებელი იყო სპორტული მოედნებისადმი წაყენებული მოთხოვნების ლამის მინიმუმამდე დაყვანა, ან სულაც უმთოდ იოლად გასვლა, ინსტიტუტელებმა შეძლეს საკმაოდ ქმედითი სექციების შექმნა. ახლ „დაიბადნენ" აქაური ფეხბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები და ტურისტები. მაგრამ ქიმიკოსებს სურთ სპორტი უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი მათთან. განსაკუთრებით სურთ ფეხბურთის, ცურვის და კალათბურთის დანერგვა... საამისოდ თითქოს ყველაფერია: არის ენთუზიასტთა მთელი მასა, ჰყავთ პირველთანრიგოსნებიც კი ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, ფეხბურთსა და ჭადრაკში, II და III თანრიგის მქონე სპორტსმენთა რიცხვი კი 20-მდე აღწევს. აკადემიის ტერიტორიაზე უამრავი შესაფერისი ადგილია და გათვალისწინებულია კიდეც სპორტბაზების მშენებლობა... მაგრამ არ არის ის, რაც ყველაფერ ამას ერთ, ქმედით რგოლად შეკრავდა, ხორცს შეასხამდა ინსტიტუტის ნამდვილ, დიდ ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებას: მტკიცე ორგანიზატორული ხელი; მესვეურთა გულისხმიერი და ჭეშმარიტი დახმარება, ენთუზიასტთა გამოვლენა და წაქეზება; ბაზების მშენებლობის დაწყების გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლა...

ვფიქრობთ, აკადემიისა და ინსტიტუტების ხელმძღვანელობა, ქალაქისა და რაიონის სპორტკავშირები ბოლოს და ბოლოს დახმარების ხელს გაუწვდიან სპორტს მოწყურებულ ახალგაზრდობას, მრრომელთა ფიზიკური გაკაჟების საქმეს და მაშინ გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი ნამდვილად ჩადგება მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივთა რიგებში.

პ. ქვალიაშვილი.

ტყვიით სროლაში საქართველოს რეკორდებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ ქალთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ყველა მიღწევა ლ. ჟურულს ეკუთვნის. ნიჟიერმა სპორტსმენმა ასეთ წარმატებას ხანგრძლივი, დაუღალავი შრომით მიაღწია. მაგრამ შარშან მან რეკორდები ვერ გაიუმჯობესა, ვინაიდან ბავშვი შეეძინა და სხვა საზრუნავი გაუჩნდა. ჟურული წლეულს ისევ დაუბრუნდება ცეცხლის ხაზს—ხარ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის დაიწყებს სამზადისს და იმედია რეკორდებსაც განაახლებს.

ს ურ ა თ ზ ე: ლ. ჟურული.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

როცა თავკაცები თავკაცობენ

სოფელ ჭოპორტში ამას წინათ გაიმართა ახალგაზრდობისა და ვეტერანთა მატჩი ფეხბურთში, რომელიც მოიგეს ახალგაზრდებმა — 3:1.

სპორტის ეს სახეობა ჭოპორტელ ახალგაზრდებს უყვართ და საჭირო დახმარებაც აქვთ სოფლის თავკაცების მხრივ. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე მ. ბადაგაძე) ივალდებულა მოეწყო სათამაშო მინდორი, შეეძინა ინვენტარი. ეს დაპირება შესრულებულ იქნა და მადლიერი ახალგაზრდებიც ამის საპასუხოდ ენერგიულად შრომობენ საკოლმეურნეო დოვლათის გასადიდებლად.

ვ. ლურბელაშვილი.

დუშეთის რაიონი.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ტანვარჯიშში** — შ. აზარაშვილს (თბილისი, „დინამო"), ჟ. ღუდუშაურს (თბილისი, „ლოკომოტივი"); **წყალბურთში** — ს. ნიჟარაძეს (თბილისი, „დინამო"); **ფეხბურთში** — ს. კუტივაძეს (ქუთაისი, „ტორპედო"); **აკრობატიკაში** — ნ. კილადეს, პ. მიქიაშვილს, გ. უანრელს (სამივენი — თბილისი, „შრომითი რეზერვები"); **ტყვიით სროლაში** — ვ. კოხრეიძეს (ქუთაისი, „განთიადი"); **ცურვაში** — ა. არტამონოვს (ბათუმი, „განთიადი"); **კალათბურთში** — გ. ჯუღელს (თბილისი, „ბურევესტნიკი"); **სამბოში** — ო. შუჩაურს (თბილისი, „განთიადი"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ბ. ლეკვეიშვილს, გ. გუდაძეს, ე. ბობოხიძეს (სამივენი — ქუთაისი, „დინამო"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — გ. მთვარელიძეს (ბორი, „კოლმეურნე"), მ. შონუსს (ქობულეთი, „კოლმეურნე"), ნ. თეთრუაშვილს, ე. გოცირიძეს (ორივენი — თბილისი, „განთიადი"), ა. თოდრიას (თბილისი, „სპარტაკი").

თბილისის რინგზე



ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა თბილისის მოკრივეთა პირადი პირველობა 19-20 წლის ახალგაზრდებისთვის, აგრეთვე უფროსი ასაკის სპორტის ოსტატთა და პირველთანრიგოსანთა შორის.

სამდღიანი დაძაბული ბრძოლების შემდეგ ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის ჩემპიონები გახდნენ: დინამოელები თ. ქობულოვი (ქვემსუბუქი წონა), ვ. კარაპეტიანი (მსუბუქი), ზ. გუნია (I ქვესაშუალო), ნ. კირტაძე (II საშუალო), ს. გოცული (მძიმე), სპარტაკელი რ. მამედოვი (I საშუალო) და ბურევესტნიკელი ს. ჩიქოვანი (II ქვესაშუალო).

უფროსი ასაკის მოკრივეთაგან წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. მარჭარიანმა („განთიადი"), გ. გოგიაშვილმა, ვ. ცერცვაძემ (ორივენი — „ბურევესტნიკი"), ბ. ზატიკიანმა, ვ. ქველიაშვილმა, რ. აკოფოვმა (სამივენი — „დინამო"). მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა მ. მამამთავრიშვილი.

სურათზე: ვ. ცერცვაძისა (მარცხნივ) და ე. ხომასურიძის ფინალური შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ი. ნეტო კვლავ გამოვა მწვანე მინდორზე

ჩურჩული სამკითხველო დარბაზში

წერილი რედაქციას ერთვნული [illegible]

საზამთრო სუსიები განსაკუთრებით იგრძნობა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დარბაზებში. უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ახალგაზრდები. ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ზოგიც ადგილს ელოდება. არიან ისეთებიც, რომლებიც დილიდან საღამომდე სხედან დარბაზში და მეცადინეობენ. განსაკუთრებით ძნელი დღე სწორედ მათ ადგათ. გონებრივი შრომისთვის დახარჯული ენერგიის აღდგენაა საჭირო. გადაღლილ გონებაზე ოდნავი ხმაურიც მოქმედებს.

ერთგან ასეთი ხასიათის ჩურჩული გაიმართა.

— დავიღალე, გარეთ გავიდეთ!

— შენც რა, ერთბაშად რაიმე თამაშით არ შეიქციო თავი.

— რატომაც არა! — თამაშის ხსენებაზე ბიჭები გამოცოცხლდნენ, სხვადასხვა აზრის გამოთქმა დაიწყეს.

ერთმა — ოთხ კედელ შუა მოთავსებულ ეზოში ფრენბურთის მოედნის მოწყობა შეიძლებაო; მეორემ — ფრენბურთის თუ არა, ბადმინტონის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მაგიდის ჩოგბურთის ასპარეზი შეიძლება გაიმართოსო; ვიღაცამ — ერთი ბუროთისთვის დამარტყმევინა ხელი, ცოტა ხანს ტანი გამავარჯიშებინა და ჩემი სწავლა მერე ნახეთო.

და ის იყო, საერთო „დისკუსია" უნდა გაფართოებულიყო, რომ ბიბლიოთეკარის გამაფრთხილებელი კაკუნი მოისმა. ყველანი გაჩუმდნენ, შემდეგ აივანზე გავიდნენ და, ალბათ, იქ გააგრძელეს საუბარი უკვე არა ჩურჩულით, არამედ ხმამაღლა. მაგრამ ვინ იყო გამგონი?

კარგი კი იქნებოდა ახალგაზრდების ამ სამართლიან შენიშვნებს გამგონიც გამოსჩენოდა ბიბლიოთეკის დირექციის სახით და მას ამ საქმის მოსაგვარებლად ეზრუნა. აქ ხომ მშვენიერი შესაძლებლობა აქვთ ფრენბურთის, ბადმინტონისა და მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო მარტივი ტიპის მოედნების მოსაწყობად?!

ნ. ჯოლბორდი.

ა. ო'კელი და ჰ. გოლომბეკი — დიდი მატჩის მსაჯები

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა სთხოვა გამოჩენილ უცხოელ მოჭადრაკეებს ა. ო'კელისა (ბელგია) და ჰ. გოლომბეკს (ინგლისი) იმსაჯონ მატჩი მსოფლიო პირველობაზე ტ. პეტროსიანსა და ბ. სპასკის შორის, რომელიც 11 აპრილს დაიწყება მოსკოვში. ო'კელიმ და გოლომბეკმა მიიღეს წინადადება.

მატჩის მთავარი არბიტრი იქნება ალბერიკ ო'კელი. იგი 55 წლისაა. ბელგიელი საკმაოდ კარგადაა ცნობილი საჭადრაკო სამყაროში. 1936 წლიდან იგი თავისი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი და ერთგული ოსტატია. 1956 წელს ო'კელის მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის, 1962 წელს — საერთაშორისო არბიტრისა და მიწერ-მოწერით თამაშში საერთაშორისო დიდოსტატის წოდებები.

ო'კელი თავაკაცობდა ბელგიის გუნდს VII, IX, XI, XII, XIV და XV საჭადრაკო ოლიმპიადებში. მას წარმატებით უთამაშია მრავალ საერთაშორისო ტურნირში. ბოლო ხანებში უპირატესად მონაწილეობს მიწერ-მოწერით ასპარეზობებში. ამ სახეობის III მსოფლიო პირველობაში ო'კელიმ ჩემპიონის ტიტული დაიხაკუთრა. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც ჭადრაკის თეორეტიკოსი, ლიტერატორი და ჟურნალისტი.

ორთაბრძოლის მსაჯი ინგლისელი პაპარი გოლომბეკი, რომელიც აგრეთვე 55 წლისაა, საერთაშორისო ოსტატი და საერთაშორისო არბიტრია. 1954 წლიდან იგი იყო მსოფლიოს პირველობის ყველა მატჩის მთავარი არბიტრის თანაშემწე. ჰ. გოლომბეკი ხშირადაა მსაჯად დიდ ასპარეზობებში.

ინგლისელი არბიტრი გამოჩენილი ჟურნალისტი, ბევრი წიგნის ავტორი და ინგლისის საჭადრაკო ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორია. იგი აქტიურად თანაშრომლობს მსოფლიოს სხვა ქვეყნების საჭადრაკო პრესაში და დიდ მუშაობას ეწევა როგორც ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ცვლილებები „ა" კლასში

როგორც ყოველთვის, ახალი სეზონის წინ „ა" კლასის ფეხბურთელთა გუნდებში ხდება ცვლილებები. ნათქვამი ეხება არა მარტო ფეხბურთელთა გადასვლას გუნდიდან გუნდში, არამედ სიახლეებს მწვრთნელთა შემადგენლობაშიც.

მოსკოვის „ლოკომოტივს" 1966 წელს ეყოლება ახალი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ჯ. ბესკოვი. მის ნაცვლად ლუგანსკის „ზარიაში" იმუშავებს ე. გორიანსკი. კიშინიოვის „მოლდოვას" მოამზადებს ი. ზოლოტუხინი. მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელი ა. მამიკინი გადავიდა საწვრთნელ სამუშაოზე. იგი ავარჯიშებს ოდესის არმიელთა გუნდს. გორკის „ტორპედოს" უფროსად დაინიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. აკიშოვი.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსკოვის „სპარტაკში". ამ გუნდის ხელმძღვანელობა ახლა ასეთნაირია: ნ. გულიაევი, ს. ხოლოდკოვი, ე. გულიაევი. კვლავ ჩადგა მწყობრში ცნობილი ფეხბურთელი ი. ნეტო. აქ მიიღეს სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. პონედელნიკი (სკა, როსტოვი), სპორტის ოსტატები ვ. მეშჩერიაკოვი („შახტიორი", დონეცკი), ს. უსატორე („დინამო", მინსკი).

ფეხბურთი

მიღებულია აგრეთვე თანხმობა გადმოსვლაზე ნ. ოსიანინისგან („კრილია სოვეტოვი", კუიბიშევი).

ტ. სოოთე და ა. მეტრეველი — ინდოეთის ჩემპიონები

ტრივანდრუმი, 24 იანვარი. მეხამედ გახდა ინდოეთის ჩემპიონი ხაბჭოთა ჩოგბურთელი ქალი ტ. სოოთე. ქვეყნის აქ გამართულ ღია ჩემპიონატში მიწის კორტებზე სოოთემ ფინალში დაამარცხა ამერიკელი კ. პროზენი — 6:4, 6:4. თბილისელმა ა. მეტრეველმა დაძაბული და საინტერესო ბრძოლის შემდეგ ფინალში დაამარცხა ბერძენი ნ. კალოგეროპულოსი — 7:5, 2:6, 6:8, 6:2, 6:1. საბჭოთა სპორტსმენების უეტი უძლიერესი იყო შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც.

ჯეკლი ჯეკეკი

● ლოს-ანჯელოსი, 23 იანვარი. მძლეოსანთა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დამყარდა მსოფლიოს 2 მიღწევა დახურული სტადიონებისთვის: ამერიკელმა ჯ. პენელმა 512 სმ დასძლია ჯოკით და 2 სანტიმეტრით გაუმჯობესა ფინელ პ. ნიკულას წინანდელი მიღწევა. ასპარეზობის მეორე გმირი იყო ამერიკელი ა. უოკერი, რომელმაც სამხტომში აჩვენა 16,37 მ. მსოფლიოში წლეულს საუკეთესო შედეგი მოიპოვა სიმაღლეზე მხტომელმა ჯ. რამბომ — 218,5 სმ.

● კაუნასი, 23 იანვარი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების პირველი დღის პროგრამაში ყურადღების ცენტრში იყო ჯოკით მხტომელების ასპარეზობა. ერთნაირი შედეგი ჰქონდათ ფრანგ ე. დ'ანკოსს და გ. ბლიზნეცოვს (სსრ კავშირი) — 480 სმ. ცდების მიხედვით გამარჯვება ფრანგს მიეკუთვნა. სიმაღლეზე მხტომელ ქალებში უძლიერესი იყო დ. მელცერი (გდრ) — 168 სმ, ხოლო სიგრძეზე ხტომაში — ლ. სამოტიოსოვა (სსრ კავშირი) — 618 სმ. ბირთვის კვრაში ვაჟთა შორის ტოლი არ ჰყავდა სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. კარასიოვს — 17,94 მ.



კ. წაძაძე პირველია

ვარშავა, 24 იანვარი. ოხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პოლონეთში დამთავრდა დღეს, ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ქართველმა სპორტსმენმა კობა წაქაძემ. ტურნირში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურენი", კ. წაქაძის ნახტომები ყველაზე ლამაზი, ეფექტური და შორი აღმოჩნდა. მან ამ ასპარეზობაში გამარჯვებულის სახელი მოიპოვა.

ჩემპიონატიდან მოყოლებული, შვეიცარიელები სისტემატურად იბრძვიან „ეიუულ რიმეს თასისთვის". აქედან ისინი ექვსჯერ გავიდნენ ფინალში (ეს მათ ვერ მოახერხეს მხოლოდ 1958 წელს).

II ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მათ ფრედ ითამაშეს იუგოსლავიასთან და რუმინეთთან ერთნაირი ანგარიშით — 2:2, ფინალში სძლიეს ჰოლანდიას (3:2), მაგრამ დამარცხდნენ ჩეხოსლოვაკიელებთან (2:3) და დატოვეს გათამაშება.

III ჩემპიონატის ფინალში შვეიცარია გავიდა პორტუგალიის გუნდის დამარცხების (2:1) შემდეგ, ფინალში გათამაშებიდან გამოიყვანა გერმანია (1:1, 4:2), მაგრამ წააგო უნგრეთთან (0:2). IV ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში შვეიცარიელებმა ორჯერ სძლიეს ლუქსემბურგს (5:2, 3:2), ფინალში წააგეს იუგოსლავიასთან (0:3), მოუგეს მექსიკას (2:1) და ფრეს (2:2) მიაღწიეს ბრაზილიასთან.

შვეიცარია თვით იყო V ჩემპიონატის მასპინძელი. აქ ამ გუნდმა წააგო ინგლისთან (0:2), მაგრამ ორჯერ სძლია იტალიას (2:1, 4:1) და გავიდა მეოთხედ-ფინალში, სადაც დამარცხდა ავსტრიასთან (5:7).

VI ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში შვეიცარიელებმა მარცხი განიცადეს (ესპანეთთან — 2:2, 1:4, შოტლანდიასთან — 1:2, 2:3), VII ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში კი I-II ადგილები გაიყვეს (ბელგიელებთან — 4:2, 2:1, შვედებთან — 0:1, 3:2). გადამწყვეტი მატჩი ფინალში გასვლისთვის შვეიცარიისა და შვეციის შორის დამთავრდა შვეიცარიელთა გამარჯვებით — 2:1. ეს წარმატება მიმომხილველებმა შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის კ. რაპანის დიდ დამსახურებად ჩათვალეს. ჩილეში შვეიცარიის გუნდი ერთადერთი იყო, რომელმაც წააგო სამივე მატჩი: ჩილისთან — 1:3, გფრ-ის გუნდთან — 1:2, იტალიასთან — 0:3.

1965 წელს შვეიცარიის ნაკრებმა ჩაატარა შემდეგი თამაშები: 0:0 ისრაელთან, 2:0 და 1:0 ალბანეთთან, 0:1 გფრ-ის ნაკრებთან, 0:0 და 2:1 ჰოლანდიასთან.

გუნდის მწვრთნელია იტალიელი ალფრედო ფონი. წლების განმავლობაში იგი იტალიის ნაკრების მცველი იყო, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა I ლიგის გუნდებს.

ნაკრებში შარშან თამაშობდნენ: მეკარეები — ელსენერი (6 მატჩი), იანსერი (1), პროსპერი (1); მცველები — ფურერი (4), კაიზერაუერი (1), ლაიმგრუბერი (4), შტიერლი (4), გრობეტი (3), შნაიტერი (5), ტაჩელა (3), მაფიოლო (1); ნახევარმცველები — ვიუტრიხი (3), კუნი (6), დიური (3), შნიდერი (1), ბაენი (2); თავდამსხმელები — ვილემიერი (2), პოტიე (1), დაინა (3), შინდელჰოლცი (5), გერნიგი (1), ჰოსპი (3), კვენტინი (4), ალემანი (4), ბრენა (1), კუენცლი (1), ოდერმატი (1).

შვეიცარიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი ფ. პოტიე კარგა ხანია გამოდის პარიზის „სტად ფრანსეში". ფრანგები დათანხმდნენ დროზე გაანთავისუფლონ იგი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისთვის მოსამზადებლად.

ა. ფონი ალბერს რამდენიმე შეკრების ჩატარებას მსოფლიოს პირველობის წინ. 1 ივნისისთვის დანიშნულია მისი გუნდის ბოლო საერთაშორისო მატჩი უნგრეთის ნაკრებთან ბუდაპეშტში.



VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება შვეიცარიის ნაკრებმა მოიპოვა ჩრდილოეთ ირლანდიის, ჰოლანდიისა და ალბანეთის გუნდებთან ბრძოლაში. ამ ფოტოზე აღბეჭდილია ამსტერდამში ჰოლანდიასა და შვეიცარიას შორის გამართული მატჩის მომენტი. თამაში, რომელსაც 50 ათასი მაყურებელი დაესწრო, დამთავრდა ფრედ — 0:0.

სურათზე: შვეიცარიელთა მეკარე ელსენერი იცავს კარს მეტოქის შეტევისგან.

ყოველ თვალით

ამ სურათით მხატვრულ ტანვარჯიშში ამას წინათ ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთ მონაწილეს წარმოგიდგენთ. ეს გახლავთ ბულგარეთის გუნდის ლიდერი, ჩემპიონატის ერთ-ერთი კოლორიტული, თავისებური „ხელწერის“ მქონე სპორტსმენი მარია გიგოვა. იგი ასრულებს ბურთით ვარჯიშს.

უარშან სექტემბერში უხანში გამართულ ჩინეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში რამდენიმე სპორტსმენმა დაამყარა ქვეყნის ახალი რეკორდი, რომელთაგან 2—აზიის კონტინენტის ახალ რეკორდადაც მოგვევლინა.

განსაკუთრებით ისახელა თავი სიმაღლეზე მხტომელმა ნი ჯი-ცინმა — 225 სმ. ჯი-ცინის შედეგი მსოფლიოში მეორეა ამ სახეობის ისტორიაში.

სურათზე: ნი ჯი-ცინი სარეკორდო ხტომისას.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეცისა“. (პოლონეთი).

ახლახან პრაღაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ციგურებით ფიგურულ სრიალში, რომელიც ევროპის კარზე მომდგარი ჩემპიონატის თავისებურ გენერალურ რეპეტიციად წარმოგვიდგა.

სურათზე: პრაღის ტურნირის პრიზიორები—I. მაშკოვა (ჩეხოსლოვაკია), II. ალმასი (უნგრეთი), III. კეშლერი (გფრ).

სპორტული მოზაიკა

ფილმი „ტრე კრუნურზე“

შვეიცარიის ჰოკეის ფედერაცია ამზადებს 75-წუთიან ფილმს სახელწოდებით: „ტრე კრუნური“ გზას უჩვენებს ახალგაზრდებს“. ფილმის ავტორი და რეჟისორია ა. სტრემბერგი, ოპერატორი — ლ. ე. ლარსონი. ფილმში, რომელიც მოგვითხრობს ჰოკეის შვედურ სკოლაზე, გადაღებული არიან ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიცაა ტუმბა, სტოლი, სტერნერი, პეტერსონი, ლუდვალი და სხვ.

საკვლევის კორესპონდენტთან საუბარში შვეიცის ნაკრების მწვრთნელმა ა. სტრემბერგმა განაცხადა: „ფილმი მზად იქნება თებერვლის შუა რიცხვებისთვის. მასში ჩვენ ვაჩვენებთ ჰოკეის, როგორადაც იგი გვეცმის შვეიცარიაში. გადაღება წარმოებდა 1964-1966 წლებში. სურათით დაინტერესდნენ დანიის, შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტული ორგანიზაციები“.

მზად არიან

ცნობილია, რომ თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიოს წლევანდელი პირველობა უნდა მოეწყოს XVI ოლიმპიადის დედაქალაქში — მელბურნში. ამ სახეობაში უმაღლესი ტიტულების მფლობელი უნგრელები ითვალისწინებენ წელიწადის დროთა განსხვავებას ევროპასა და ავსტრალიაში და საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მათ იმგვარად წარმართეს სამზადისი, რომ ნოემბრისთვის საუკეთესო ფორმაში იყვნენ.

— მაგრამ ჩვენ არ შეგვაშფოთებს, — თქვა უნგრეთის ხუთჭიდის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, — თუ დებულება შეიცვლება და ჩემპიონატი უფრო ადრე გაიმართება. ჩვენი სამზადისის გეგმა მოქნილია და მასში მუდამ შეიძლება შესწორებათა შეტანა.

ერთი სიტყვით მსოფლიოს ჩემპიონები მზად არიან.

ზაილერსაც კი გაუჭირდა

კორტინა დ'ამპეცოს „თეთრ ოლიმპიადაზე“ სამთო-სათხილამურო სპორტში ოქროს ყველა 4 შედლის მფლობელი გახდა სახელგანთქმული ავსტრიელი ტონი ზაილერი. მაგრამ მისთვის მეტისმეტად ციცაბო აღმოჩნდა ფერდობი. რომელიც ამოირჩიეს კინოკომპანიის (ამავე დროს, ზაილერის) პატრონებმა. მორიგი ფილმის გადასაღებად. ტონი დაეცა და სერიოზულად დაშავდა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

„რეინჯერსი“ 2 ქულით ჩამორჩება „სელტიკს“

როგორც უკვე ვიუწყებოდით, შოტლანდიის ჩემპიონატის XXI ტურში გლაზგოს „სელტიკმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო „მადერუელს“ — 1:0. მე-15 წუთზე გოლი გაიტანა მაკბრაიდმა.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „სტერლინგ ალბიონი“ — „გლაზგო რეინჯერსი“ 0:2, „ჰამილტონ აკადემიკლსი“ — „კილმარნოკი“ 1:4, „პარტიკი“ — „დანდი იუნაიტედი“ 4:1, „სენტ-მირენი“ — „აბერდინი“ 1:0.

დღეისთვის გუთამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“	20	66:20	35
„გლაზგო რეინჯერსი“	20	60:19	33
„დნფერმლ. ატლ“,	20	56:28	29
„დანდი იუნაიტედი“	20	51:27	27
„კილმარნოკი“	21	48:33	25
„ჰართ ოვ მიდლოტ“.	20	35:29	24
„ჰიბერნიენსი“	20	57:31	23
„აბერდინი“	20	36:32	20
„დანდი“	17	36:32	19
„კლაიდი“	19	35:35	17
„ფოლკერკი“	19	25:40	15
„სტერლინგ ალბ“.	20	24:48	15
„პარტიკი“	18	27:36	14
„სენტ-მირენი“	21	28:51	14
„სენტ-ჯონსტონი“	19	28:48	13
„მორტონი“	20	26 47	13
„მადერუელი“	20	25:48	12
„ჰამილტონ აკადემიკ.“	20	14:73	3

ლიდერი უცვლელია

ესპანეთის ჩემპიონატის ორივე ლიდერმა — მადრიდის „ატლეტიკომ“ და „რეალმა“ გუშინწინ გამართულ XX ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს.

მადრიდში „ატლეტიკო“ შეხვდა ბილბაოს „ატლეტიკოს“. პირველივე წუთებზე მადრიდელმა კარდონამ შეძლო სტუმართა კარის აღება — 1:0. მადრიდელთა ფორვარდებს შემდეგაც ჰქონდათ გოლის გატანის არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ ბასკების მეკარე ირიბარმა იხსნა თავისი გუნდი დიდი ანგარიშით წაგებისგან.

კორდოვაში წვიმდა და სველ მინდორზე მადრიდის „რეალმა“ მატჩის დასაწყისშივე გაუშვა გოლი ადგილობრივი „კორდოვასაგან“, მაგრამ შესვენებამდე გროსომ და ველასკესმა „რეალი“ დააწინაურეს— 2:1. მეორე ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა.

ვალენსიაში ადგილობრივმა „ვალენსიამ“ წააგო „ბარსელონასთან“ —0:2. ბარსელონელთა ორივე გოლი გაიტანა ნახევარმცველმა ფუსტემ.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ესპანიოლი“ — „მალაგა“ 3:2, „პონტეველრა“ — „მაიორკა“ 2:1, „სარაგოსა“ — „სევილია“ 2:0, „ბეტისი“ — „საბადელი“ 2:1.

I ადგილზეა მადრიდის „ატლეტიკო“ — 29 ქულა. ამდენივე ქულით, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდებით, მადრიდის „რეალი“ იმყოფება II ადგილზე. „ბარსელონა“ 25 ქულით III ადგილზეა.

თასი,
ჩემპიონატები,
ლიდერები

„ლ ე ლ ო ს“
საკუთარი ინფორმაცია

თასის მფლობელი დამარცხდა

ცნობილია, რომ ინგლისში თასის გუთამაშება უაღრესად პოპულარულია. ეს კვლავ დამტკიცდა შაბათს, როცა ინგლისის თასის გუთამაშების III წრეში სტადიონზე, რომლებიც „ლენდარული მატჩების დროს ხშირად ნახევრად ცარიელია, მაყურებლებს ვერ იტევდა.

თასისთვის ბრძოლაში I ლიგის გუნდები ითვალთად როდი აგებენ დაბალი ლიგების წარმომადგენლებთან და შაბათს ამის მაგალითი საკმარისად იყო: III ლიგის „უოლსოლმა“ სტოკ-ონ-ტრენტში დაამარცხა ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი — „სტოკ-სიტი“ — 2:0, „ბოლტონმა“ (II ლიგა) მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 3:0; „ბორნემუტმა“ (III ლიგა) ფრედ ითამაშა ჩემპიონატში II ადგილზე მყოფ „ბერნლისთან“ — 1:1, ხოლო III ლიგის აუტსაიდერმა — „ოლდჰემ ატლეტიკმა“ ფრედ დაამთავრა მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელთან, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“ — 2:2.

ჟურნალისტებმა სენსაციად ჩათვალეს ჩემპიონატის ლიდერის — „ლივერპულის“ წაგება საკუთარ მინდორზე „ჩელსისთან“ — 1:2. საყურადღებოა, რომ „ლივერპული“ შარშან თასის მფლობელი იყო.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ იოლად სძლია „დერბი კაუნტის“ (III ლიგა) — 5:2.

აბ. III წრის სხვა მნიშვნელოვანი შედეგებიც: „ეევერტონი“ — „სანდერლენდი“ 3:0, „ლიდს იუნაიტედი“ — „ბერი“ 6:0, „ტოტენჰემ ჰოტსპერი“ — „მიდლსბრო“ 4:0, „ბლეკბერნ როვერზი“— „არსენალი“ 3:0.



▲ **მალმე.** საგზატკეცილო რბოლაში პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ტ. სიმპსონი თხილამურებით ვარჯიშისას მძიმედ დაშავდა.

▲ **ციურიჰი.** სამთო-მოთხილამურე ვაჟთა საერთაშორისო ასპარეზობამი სწრაფდაშვება მოიგო მასპინძელთა გუნდის წევრმა კ. შრანცმა — 3.02,76. სლალომში ყველას აჯობა გ. ჰეერიამ (საფრანგეთი) — 1.49,3. სამთო სამჭიდში გამარჯვება დარჩა შრანცს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის
სპორტულ
ბაზებზე

შაში. სპორტკლუბ „სინათლის“ დარბაზი (ტელმანის ქ. № 8). **25 იანვარი-2 თებერვალი. საქართველოს პირადი პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **26 იანვარი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეორე მეოთხედფინალური მატჩი „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (გლაზგო).** დასაწყისი 18 ს. ბილეთები გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 25 იანვარს 11 საათიდან 18 საათამდე გასული წლის ყველა სახის აბონემენტებზე. საერთო გაყიდვა იწარმოებს 26 იანვარს 10 საათიდან.

მძლეოსნობა. „დინამოს“ სტადიონი. **29-30 იანვარი. ზამთრის საქალაქო პირველობა.** დასაწყისი: 29-ში — 15 ს., 30-ში — 14 ს.

ჯო ლუისი — კასიუს კლეის მწვრთნელი

რეიტერის სააგენტომ ნიუ-იორკიდან გადმოსცა პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოში „პირველ ხელთათმნად“ აღიარებული კასიუს კლეის განცხადება. ამ დღეებში კლეიმ შეკრიბა ჟურნალისტები და განუცხადა:

„შესაბამისი მოლაპარაკების შემდეგ ჯო ლუისი დათანხმდა იყოს ჩემი მწვრთნელი და აგრეთვე მრჩეველი მატჩების დროს. მე უძლეველი ვარ და ახლა, როცა ჯო ლუისთან ერთად ვიქნები, არავის შეუძლია იმაზე ოცნებაც კი, რომ ბრძოლის დროს დამაჩოქებს“.

ამერიკული პრესა არ მალავს, რომ ჯო ლუისისა და კლეის თანამშრომლობა მხოლოდ მორიგი სარეკლამო ინიბაზობაა და სხვა არაფერი. სახელგანთქმული ზანგი მოკრივის ჯო ლუისის სახელი ახლაც ძალიან პოპულარულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კლეის სახელი კი — ლაზათიანად შელანძღული ლისტონთან და ფლოიდ პატერსონთან ბრძოლების დროს ბნელი მაქინაციების გამო. ანრიგად, ჯო ლუისის მეოხებით, რომელიც ამერიკაში არც თუ ისე ბევრი „პატიოსანი და წესიერი პროფესიული მოკრივის“ ერთ-ერთ წარმომადგენლად ითვლება, კლეი ცდილობს ამმაღლოს საკუთარი რეპუტაცია. ეს მისთვის განსაკუთრებით საჭიროა ამჟამად, როცა ამერიკელი ერნი ტერელის წინაალმდეგ მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩისთვის ემზადება.



ИНДЕКС 66448

ხაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01426